პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 18 იანვარი, 1944 წ. № 18 (6907). ფასი 20 კაპ.

## სოფლის ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანები

### „პრავდის“ მოწინავე — 16 იანვარი

სოფლის ახალგაზრდობა საკოლმეურნეო სოფლის დიდი ძალაა. ამჟამად, როცა სოფლად გაჩაღებულია მზადება საგაზაფხულო თესვისათვის, განსაკუთრებით დიდია სოფლის ახალგაზრდობის როლი. თესვის კამპანიის წარმატებითი ჩატარება სწყვეტს მოსავლის ბედს. მთელი რიგი ჩამორჩენილი რაიონების გამოცდილებამ დაგვანახვა, თუ რა ფასად გვიჯდება გაზაფხულისათვის ცუდი მომზადება.

მივიღოთ უხვი მოსავალი მიმდინარე წელს — ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ კარგად მოვამზადოთ და კარგად ჩავატაროთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაო. საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომკავშირულ ორგანიზაციებს. სოფლის კომკავშირელთა მთავარი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა კოლმეურნეთა ინიციატივას, დარაზმონ ისინი გაზაფხულისათვის მომზადებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმატებით შესასრულებლად.

საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში განსაკუთრებით დიდ როლს შეასრულებენ ტრაქტორები. ეს ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელ ორგანოებს — რაიკომებს, ქალაქკომებს, ოლქკომებს — დიდად გაამლიერონ ყურადღება სატრაქტორო პარკის რემონტისადმი, გამოიჩინონ ინიციატივა, მოსაზრებულობა, შეუპოვრობა ყველა ადგილობრივ შეაძლებლობათა მობილიზაციაში რემონტის წარმატებით დასამთავრებლად.

მრეწველობაში საკვებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა. მათი გამოცდილება მტკიცედ უნდა დავნერგოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. ზოგიერთ მტს-ში კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები უკვე შექმნილია და აქტიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს ტრაქტორების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეკეთებაში. ამოცანა ის არის, რომ ფართო გაქანება მიეცეს ამ მოძრაობას, უზრუნველვყოთ, რომ მას ხელი შეუწყონ პარტიის რაიკომებმა, სამეწყობო-მექანიკური ორგანოებმა, მტს-ების დირექტორებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ტრაქტორისტებს შორის ბევრია კომკავშირელი. იმათ პირადი მაგალითით უნდა გვიჩვენონ, თუ როგორ უნდა მუშაობა რემონტზე, სასტიკად დაცვა გრაფიკს, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ნორმებს, როგორ უნდა გაიყოლიონ მტს-ების მთელი ახალგაზრდობა.

ბევრი ფაბრიკა-ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციები ეხმარებიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტის დამზადებასა და შეკრებაში, კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის მოგვარებაში. ისინი სოფელში გზავნიან ბრიგადებს, წიგნებს, პლაკატებს, ლოზუნგებს და სხვ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, — მას უნდა დაეხმაროს სამრეწველო საწარმოთა ყველა კომკავშირული ორგანიზაცია.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მექანიზატორთა კადრების მომზადება მიმდინარეობს. მექანიზაციის კურსებისა და სკოლების მოსწავლეთა ძირითად მასას ახალგაზრდობა შეადგენს. ეს კურსები და სკოლები კომკავშირის ოლქკომებისა და რაიკომების შეუნელებელი ყურადღებით უნდა საგულდაგულოდ. კურსებისა და სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან წამომწყები იყვნენ დისციპლინის განმტკიცებაში, იმათ უნდა მიაღწიონ სწავლის მაღალ ხარისხს, მოსწავლეთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას.

მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა საზამთრო აგროტექნიკური ღონისძიებათა შესრულება. მიმდინარე წელს ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა ადგილობრივი სასუქის შეგროვება-გაზიდვაში, თოვლის შეკავების ჩატარებასა, და თესლის სათესად მომზადებაში. თითოეული ეს ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ყოველი საქმე ცოდნას მოითხოვს. სოფლის მეურნეობაში საუკეთესო შედეგებს ის მიაღწევს, ვინც კარგად იცნობს საკოლმეურნეო წარმოებას, იცავს აგროტექნიკურ წესებს, ცდილობს მაღალ კულტურულ დონეზე ჰქონდეს მეურნეობა. ჭკუის სასწავლო კალენინის ოლქის ოვინიშჩის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ლუჩის“ კომკავშირელთა მაგალითი. აქ დიდი მოსავლის რგოლმა, რომელსაც კომკავშირელი ანტონინა ბოგაჩოვა ხელმძღვანელობს, თითოეულ ჰექტარზე მიიღო 126 ფუთი ჭვავი და 120 ფუთი შერია. კოლმეურნეობაში საშუალო მოსავალი ჰექტარზე ერთიორად ნაკლები იყო. ბოგაჩოვას რგოლი კი კოლმეურნეობის ყველა სხვა ბრიგადასთან თანაბარ პირობებში მუშაობდა. შრომის სწორი ორგანიზაცია, აგროტექნიკის ძირითად მოთხოვნათა შესრულება, მტკიცე შრომის დისციპლინა — აი რამ შეუწყო ხელი იმას, რომ რგოლმა უფრო დიდი მოსავალი მიიღო.

სოფლის ახალგაზრდობამ და უწინარეს ყოვლისა კომკავშირელებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი აგროტექნიკის შესწავლას, რათა საქმის უფრო ღრმა ცოდნით წინ წასწიონ თავიანთი კოლმეურნეობის მუშაობა. ასეთი სწავლისათვის ყველა პირობა არის. ყოველ რაიონში არიან აგრონომები, გამოცდილი კოლმეურნეები, ბრიგადირები და მერგოლურები, რომელნიც ხალისით დაეხმარებიან ახალგაზრდობას თავიანთი ცოდნის ამაღლებაში. კომკავშირლები უნდა გამოვიდნენ სოფლის ახალგაზრდობის მიერ აგროტექნიკის შესწავლის ნამდვილ ორგანიზატორებად.

სასოფლო - სამეურნეო მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ გამწევ ძალას. მთელ რიგ რაიონებში კი სოფლის კომკავშირელები ცუდად ზრუნავენ იმისათვის, რომ მოამზადონ ცხენი საგაზაფხულო თესვისათვის. აქა-იქ ნამდვილ საქმეს სცვლიან ლაყბობით, ყოველგვარი ფუჭი ლაპარაკით ცხენზე შეფობის შესახებ.

ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა, რომლებშიც ახალგაზრდობა, ემზადება რა მინდვრის სამუშაოებისათვის, ჯეროვნად უფრთხილდება ცხენებს, უვლის მათ: დამყარებულია კვების სწორი რეჟიმი, მოგვარებულია ცხენების დასუფთავება, მოწესრიგებულია თავლები, ამზადებენ აკაზმულობას. მაგრამ ეს ხომ ყოველი კოლმეურნეობის კომკავშირელებს შეუძლიათ.

კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ბევრი ნაკლი იმით აიხსნება, რომ ისინი არ გთმოდიან, როგორც ერთიანი საბრძოლო კოლექტივი, რომელიც იცნობს თავისი კოლმეურნეობის საჭიროებას, რომელიც შეუპოვრად სძლევს სიძნელეებს, ასწორებს ნაკლოვანებებს. ხდება ხოლმე, რომ კომკავშირელთა თვალწინ ირღვევა შრომის დისციპლინა, ბარბაროსულად ეპყრობიან ცხენს, ჭიანურდება საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტი, კომკავშირული ორგანიზაცია კი შემარიგებლად ეკიდება ყოველივე ამას. ნაცვლად იმისა, რომ ასტეხონ განგაში, მკვეთრად დაგაყენონ საკითხი კოლმეურნეობის გამგეობის, კომკავშირის რაიკომის, პარტიის რაიკომის, რაიაღმასკომის წინაშე, — კომკავშირელები ხშირად პასიურ მეთვალყურეთა როლში გამოდიან.

კომკავშირელები უნდა იყვნენ პარტიული ორგანიზაციის ნამდვილი თანაშემწენი, დაუცხრომელი, ინიციატიიანი ადამიანები, რომელთაც შეუწყნარებლად მიაჩნიათ ნაკლოვანებანი. საჭიროა, რომ სოფლის ყველა კომკავშირელნი იყვნენ პარტიული ორგანიზაციების კარგი დასაყრდენი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების აქტიური გამტარებელნი.

კომკავშირის მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა ამჟამად იმას უნდა დაექვემდებაროს, რომ სოფლის ახალგაზრდობა მობილიზებულ უქნას თესვისათვის წარმატებით მოსამზადებლად. სოფლის ახალგაზრდობაში ამჟამად აღმზრდელობითი მუშაობის გაწევა იმას ნიშნავს, რომ დავრაზმოთ იგი საბრძოლო დაძაბული შრომის გასაწევად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ორგანიზატორული მუშაობის მთავარ შინაარსს შეადგენს ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება. ეს დებულება უეცილობელი კანონი უნდა იყოს კომკავშირული ორგანიზაციებისთვისაც. კომკავშირის რაიკომები მოვალენი არიან ბევრად უფრო ფართოდ ჩაებან თავიანთ მუშაობაში კომკავშირული აქტივი, მიაღწიონ ძალთა სწორ განაწილებას.

კომკავშირული აქტივი მოვალეა დროის ძირითადი ნაწილის განმავლობაში იყოს კოლმეურნეობებში, ამასთან უშუალო დახმარება გაუწიოს კომკავშირულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. სასოფლო რაიკომი თავის ხელმძღვანელობით უნდა მისწვდეს ყოველ საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციას. ყოველივე ამასთან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალ კომკავშირულ ორგანიზაციათა შექმნას და მცირერიცხოვანთა განმტკიცებას.

კომკავშირის მუშაობის საკითხებს სერიოზული ადგილი უნდა ეჭიროს პარტიის თითოეული საოლქო კომპარტიისა და რაიკომის მუშაობაში. ამავე დროს, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, არიან პარტიის რაიკომები, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებენ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას ახალგაზრდობაში.

მრავალ ოლქში კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის საკითხები განხილულ იქნა პარტიის რაიკომების, ოლქკომების პლენუმებსა და ბიუროზე. გადაწყვეტილებები მიღებულია. ამჟამად მთავარი ის არის, რომ ეს გადაწყვეტილებები განხორციელდეს.

დავრაზმოთ ახალგაზრდობა თესვისათვის საბრძოლოდ მოსამზადებლად — ეს იმას ნიშნავს, რომ განვამტკიცოთ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები, პარტიულ ორგანიზაციათა ნამდვილ საბრძოლო დასაყრდენად გადავაქციოთ ისინი.

## მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი ჩოიბალსანი

14 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი ჩოიბალსანი.

მარშალ ჩოიბალსანს სადგურზე შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. პოლონოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ს. კემენოვი, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩანი სსრ კავშირში სამბუ და სხვ.

## მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების ნადავლი 1943 წლის 24 დეკემბრიდან 1944 წლის 13 იანვრამდე განვლილ პერიოდში

1943 წლის 24 დეკემბრიდან, 1944 წლის 13 იანვრამდე წარმოებული შეტევის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს:

მოსპობილია: 2.204 ტანკი, 1.174 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 625 ნაღმსატყორცნი, 3.173 ტყვიამფრქვევი, 348 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 4.686 ავტომანქანა, 2 ჯავშანმატარებელი, 27 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად, 17 სარკინიგზო ეშელონი, 28 ორთქლმავალი, 400 ვაგონი, 40 ბენზინის ცისტერნი, 3.063 საზიდარი ტვირთიანად.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 100.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ამავე ხნის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 316 ტანკი, 902 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 321 ნაღმსატყორცნი, 2.000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 11.500 შაშხანა და ავტომატი, 157 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 3.514 ავტომანქანა, 47 საწევარი და ტრაქტორი, 480 მოტოციკლი, 20 ორთქლმავალი, 1.000-ზე მეტი ვაგონი, 3 ეშელონი ტვირთიანად, 40 ცისტერნი, 230 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად, სურსათიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად, 3.100 საზიდარი ტვირთიანად, 3.662 ცხენი, 40 რადიოსადგური.

ტყვედ წამოყვანილია 7.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 16 იანვრის ოპერაციული ცნობიდან

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, სამი დღის შეტევითი ბრძოლების შედეგად, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა ფრონტით 15 კილომეტრ სიგანეზე და სიღრმით 8 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზაისევალოვო, პოლუტინა, ჩორანოვი, სოკალი, ვოლბინო, ვანოკოვო, მიხალკინო, ჩირკი, როვნი, ზაბოლოტიე და რკინიგზის სადგური ნასვა. ამრიგად ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ნოვოსოკოლნიკ-დნოს რკინიგზა.

16 იანვრის განმავლობაში კალინკოვიჩის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნოვოსელიოლკი, იაკიმოვიჩი, კლინსკი.

სარნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური კოსტოპოლი, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ვლადიმირეცი, ანტონოვკა, ზლოტოლინი, პეჩალოვკა.

ვინიცის ალმოსავლეთით და შმანის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრშეტევებს, ამასთან დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 136 ტანკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

15 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 190 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 60 თვითმფრინავი.

* * *

### 17 იანვრის ოპერაციული ცნობა

17 იანვრის განმავლობაში ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის სლობოდა, კისელევიჩი, ალხიმოვო, გვოზდოვა, კუროვო.

ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი ტუჩინი, აგრეთვე რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი.

უმანის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშები.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ხროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

16 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 166 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 39 თვითმფრინავი.

* * *

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 შეწყვეტილ ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი კისელევიჩი. კისელევიჩისათვის ბრძოლაში მოსპობილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ტანკი, 7 ქვემეხი და 32 ავტომანქანა. ჩვენმა სხვა შენაერთმა განდევნა გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და გერმანელებისაგან გაწმინდეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი ტუჩინი და რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მიაღწიეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილს, შემოუარეს მათ, შემდეგ უეცრად დაესხნენ თავს გერმანელთა გარნიზონს სოფელ ტუჩინში. საბჭოთა მებრძოლებმა ისარგებლეს იმით, რომ გერმანელთა შორის პანიკა იფეთქა, და გაჟლიტეს 300-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალების საწყობი.

* * *

უმანის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ შეიყარა რიგი გაფანტული კონტრიერიშები მოიტანა, ჩვენმა არტილერისტებმა, ტანკისტებმა და ქვეითებმა კონცენტრირებული ცეცხლით წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა ყველა კონტრიერიშები და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ერთი დღის ბრძოლებში დაზიანებული და მოსპობილია მოწინააღმდეგის 80-ზე მეტი ტანკი, 16 ჯავშნიანი მანქანა, 6 თვითმავალი ქვემეხი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი და 200 ავტომანქანა. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გერმანელებმა მოახერხეს წინწამოწევა და ერთი დასახლებული პუნქტის დაკავება. საბჭოთა ქვეგანაყოფნი გარს შემოერტყნენ მტრის დაჯგუფების და მოსპეს იგი. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 23 დაშავარი ტანკი და 800-მდე ჰიტლერელის გვამი.

* * *

ლენინგრადის პარტიზანულმა რაზმებმა 6-დან 10 იანვრამდე ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელთა 37 სამხედრო ეშელონი სომარ მასალიანად, საწვავიანად და სურსათიანად. მარცხის შედეგად დაიმტვრა 300-მდე ვაგონი და პლატფორმა. პარტიზანებმა დაანგრიეს კავშირგაბმულობის 80 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს გერმანელთა ორი გარნიზონი და მოსპეს ჯავშნიანი მანქანა, ოთხი ქვემეხი და გარაჟი ავტომანქანებიანად. გაჟლეტილია 600-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ამ უკანასკნელ ხანს გახშირდა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფებით ტყვედ დანებების შემთხვევები. უკრაინის 1-ლი ფრონტის ერთ უბანზე იარაღი დაყარა გერმანიის 168-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფმა. ჩვენს მხარეზე გადმოსულმა უნტერ-ოფიცერმა ემილ პ-მ განაცხადა: „თავი მოვუყარე ჩემს ჯარისკაცებს და ვუთხარი: „გერმანიისათვის ტკვე ყველაფერი დაკარგულია და არავითარი აზრი არა აქვს ახალი მსხვერპლის გაღებას. გასტრეს თუ არა შეინარჩუნოთ სიცოცხლე. თანხმნი ხართ თუ არა რუსებთან გადახვიდეთ? ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, თანხმობა გამოსთქვა, და ჩვენ ტყვედ დაგნებდით“.

იმავე დივიზიის სხვა უნტერ-ოფიცერმა კარლ გ-მ, რომელიც ტყვედ დაგნებდა თავის ათეულთან ერთად, განაცხადა: „გაფანტრებულ ბრძოლაში ჩვენი პოლკი განადგურებულ იქნა, მისი ნაშთები, რომელსაც რუსების ტანკები დადეგენენ, აქეთ-იქით გაიჭედნენ. მე და ჩემი ათეულის ჯარისკაცები ხევში დავიმალეთ. დილით რუსი კავალერისტები დავინახეთ. მე ვუბრძანე ჯარისკაცებს გამოსულიყვნენ ხევიდან, გზაზე დაეწყოთ იარაღი და ხელები აეწიათ. მათ ხალისით შეასრულეს ჩემი ბრძანება. ტყვეობაში რომ აღმოვჩნდით, ჯარისკაცებმა მადლობა გადაგვიხადეს იმისათვის, რომ ისინი გვრდუგალ დაღუპვას გადავარჩინე“.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის სხვა უბანზე ტყვედ დაგვნებდა „სს“-ელთა „ლანგემარკის“ მოიერიმე ბრიგადის 72 ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი. ტყვეებმა გვაცნობეს „ლანგემარკის“ ბრიგადა ჩამოყალიბებულია ბელგიაში. ჩეღნოვის რაიონში ბრიგადა გარემოცვაში მოხვდა და მძიმე ზარალი მოუვიდა. ოფიცრები გაიქცნენ, ჩვენ კი ადგილობრივ დავრჩით და ტყვედ დავნებდით“. ამავე დღეს წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 198 ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში 7 გერმანელი, 2 ავსტრიელი, 2 ჩეხი და 1 პოლონელი. გადმოსულებმა თან მოიტანეს ორი ტყვიამფრქვევი, 3 ავტომატი, 8 შაშხანა, 3 რეკოლვერი და საომარი მასალა. გადმოსულთა მეორე ჯგუფი, 7 კაცის რაოდენობით, შედგება სლოვენელებისაგან, რომლებიც ძალით არიან მობილიზებულნი გერმანიის არმიაში.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ მარიევკაში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „გერმანელებმა თავიანთი უკანდახევის ცოტახნით ადრე ჩვენი სოფლიდან და ახლომახლო სოფლებიდან ყველა მცხოვრები 14-დან 70 წლის ასაკამდე სიმაგრეთა მშენებლობაზე გარეკეს. გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ ყველა, ვინც ხანგრძლივ ბეთრკას თავს აარიდებს, დახვრეტილი იქნებიო. თავდასხმა მოეკარი ჰიტლერელნი არამზადებმა სისრულეში მოიყვანეს. ჯალათებმა დახვრიტეს მარიევკისა და მეზობელი სოფლის ბელენკოს 37 მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებმაც უარი სთქვეს სანგრების გათხრაზე. კოლმეურნე ქალს პოლინა ვოლოჩენკოს თავად გაუხდა მცირეწლოვანი ბავშვები და იგი სამუშაოდ არ გამოსულა. გერმანელმა ოფიცერმა ციმით სიკვდილის პირამდე მიიყვანა ივი და ბავშვებთან ერთად ფარდულში ჩაკეტა. ეიანა იყო და ვოლოჩენკო ბავშვებთან ერთად გაიყინა. ძნელია სიტყვით გადმოცემა ყველა იმ მხეცობისა, რასაც ჩვენში გერმანელი ფაშისტი ავაზაკები სჩადიოდნენ“. აქტს ხელი მოაწერეს სოფელ მარიევკის მცხოვრებლებმა: სერგი ფელიჩენკომ, ანა კოვალმა, ვერა ტრეტიაკმა, ანისია ფილიპოვკომ, ვარვარა რადჩენკომ.

## ბოლონეთის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 15 იანვარს ლონდონში ბოლონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „პოლონეთის მთავრობა გაეცნო საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რასაც შეიცავს საკდესის 1944 წლის 11 იანვრის ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა როგორც პასუხი პოლონეთის მთავრობის 5 იანვრის დეკლარაციაზე. საბჭოთა კომუნიკე შეიცავს მთელ რიგ მტკიცებებს, რომლებზეც სრულ პასუხს იძლევა ის განუწყვეტელი ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, რასაც უდიდესი ზარალის ფასად ეწევა პოლონელი ხალხი პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელობით. მხურვალედ მისწრაფვის რა იქითკენ, რომ უზრუნველჰყოს გაერთიანებულ ერთა სრული სოლიდარობა, განსაკუთრებით საერთო მტერთან მათი ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე, პოლონეთის მთავრობა უფრო მიზანშეწონილად სთვლის ამჟამად თავი შეიკავოს შემდგომი საჯარო დისკუსიისაგან.

თუმცა პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია სცნოს ცალმხრივი გადაწყვეტილებანი და მომხდარი ფაქტები, რომლებსაც [illegible] შეიძლება ადგილი იქნეს პოლონეთის რესპუბლიკაში [illegible] მას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი გულწრფელი სურვილი მიაღწიოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას ისეთ პირობებში, რომლებიც სამართლიანი და ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მიმართავს ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებს და იმედოვნებს მათი შუამავლობით უზრუნველჰყოს მოლაპარაკება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის ინგლისისა და ამერიკის მთავრობათა მონაწილეობით ყველა ძირითად საკითხზე, რომელთა გადაჭრამაც უნდა მიგვიყვანოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ და მტკიცე თანამშრომლობამდე. პოლონეთის მთავრობას სასურველად მიაჩნია ეს გაერთიანებულ ერთა გამარჯვებისა და ომისშემდგომ ევროპაში მჭიდრო ურთიერთობის დამყარების ინტერესებისათვის“.

### საკდესის ცნობა

პოლონეთის მთავრობის მიერ 15 იანვარს ლონდონში გამოქვეყნებული განცხადების გამო საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

1. პოლონეთის მთავრობის განცხადება, სადაც მთავარ საკითხს კერზონის ხაზის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრად აღიარების შესახებ საკუთრივ ავლილი აქვს გვერდი და ეგულებელყოფილია, — არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სხვა რამედ, თუ არა კერზონის ხაზის უარყოფად.

2. რაც შეეხება პოლონეთის მთავრობის წინადადებას მასა და საბჭოთა მთავრობას შორის ოფიციალური მოლაპარაკების დაწყების შესახებ, საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ეს წინადადება ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი ჩემს ჯარისკაცებს და ვუთხარი: „გერმანიისათვის ტკვე ყველაფერი დაკარგულია და არავითარი აზრი არა აქვს ახალი მსხვერპლის გაღებას. გასტრეს თუ არა შეინარჩუნოთ სიცოცხლე. თანხმნი ხართ თუ არა რუსებთან გადახვიდეთ? ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, თანხმობა გამოსთქვა, და ჩვენ ტყვედ დაგნებდით“.

იმავე დივიზიის სხვა უნტერ-ოფიცერმა კარლ გ-მ, რომელიც ტყვედ დაგნებდა თავის ათეულთან ერთად, განაცხადა: „გაფანტრებულ ბრძოლაში ჩვენი პოლკი განადგურებულ იქნა, მისი ნაშთები, რომელსაც რუსების ტანკები დადეგენენ, აქეთ-იქით გაიჭედნენ. მე და ჩემი ათეულის ჯარისკაცები ხევში დავიმალეთ. დილით რუსი კავალერისტები დავინახეთ. მე ვუბრძანე ჯარისკაცებს გამოსულიყვნენ ხევიდან, გზაზე დაეწყოთ იარაღი და ხელები აეწიათ. მათ ხალისით შეასრულეს ჩემი ბრძანება. ტყვეობაში რომ აღმოვჩნდით, ჯარისკაცებმა მადლობა გადაგვიხადეს იმისათვის, რომ ისინი გვრდუგალ დაღუპვას გადავარჩინე“.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის სხვა უბანზე ტყვედ დაგვნებდა „სს“-ელთა „ლანგემარკის“ მოიერიმე ბრიგადის 72 ჯარისკაცი და უნტერ-ოფიცერი. ტყვეებმა გვაცნობეს „ლანგემარკის“ ბრიგადა ჩამოყალიბებულია ბელგიაში. ჩეღნოვის რაიონში ბრიგადა გარემოცვაში მოხვდა და მძიმე ზარალი მოუვიდა. ოფიცრები გაიქცნენ, ჩვენ კი ადგილობრივ დავრჩით და ტყვედ დავნებდით“. ამავე დღეს წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 198 ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში 7 გერმანელი, 2 ავსტრიელი, 2 ჩეხი და 1 პოლონელი. გადმოსულებმა თან მოიტანეს ორი ტყვიამფრქვევი, 3 ავტომატი, 8 შაშხანა, 3 რეკოლვერი და საომარი მასალა. გადმოსულთა მეორე ჯგუფი, 7 კაცის რაოდენობით, შედგება სლოვენელებისაგან, რომლებიც ძალით არიან მობილიზებულნი გერმანიის არმიაში.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ მარიევკაში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „გერმანელებმა თავიანთი უკანდახევის ცოტახნით ადრე ჩვენი სოფლიდან და ახლომახლო სოფლებიდან ყველა მცხოვრები 14-დან 70 წლის ასაკამდე სიმაგრეთა მშენებლობაზე გარეკეს. გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ ყველა, ვინც ხანგრძლივ ბეთრკას თავს აარიდებს, დახვრეტილი იქნებიო. თავდასხმა მოეკარი ჰიტლერელნი არამზადებმა სისრულეში მოიყვანეს. ჯალათებმა დახვრიტეს მარიევკისა და მეზობელი სოფლის ბელენკოს 37 მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებმაც უარი სთქვეს სანგრების გათხრაზე. კოლმეურნე ქალს პოლინა ვოლოჩენკოს თავად გაუხდა მცირეწლოვანი ბავშვები და იგი სამუშაოდ არ გამოსულა. გერმანელმა ოფიცერმა ციმით სიკვდილის პირამდე მიიყვანა ივი და ბავშვებთან ერთად ფარდულში ჩაკეტა. ეი

# საბჭოთა კავშირის გმირი აკაკი ლუკას-ძე ტერელაძე

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა უფროსს ლეიტენანტ აკაკი ლუკას-ძე ტერელაძეს.

აკაკი ტერელაძე დაიბადა 1923 წელს წულუკიძის რაიონის სოფ. ღანირეტირში. სამამულო ომის დაწყებამდე სწავლობდა თბილისის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში. ომის დაწყებისას გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და უნარიანმა მებრძოლმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხ. ტერელაძე სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა. იგი წითელი არმიის ოფიცერი გახდა, ფრონტზე დაბრუნდა და ასეულის მეთაურად დაინიშნა.

ამს. ტერელაძემ სამამულო ომის ფრონტზე მალე გამოიჩინა თავი როგორც გაბედულმა და ინიციატივიანმა ოფიცერმა. მან სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო დონიდან დნეპრის მარჯვენა ნაპირამდე. პირველად მდინარე დონზე ისახელა თავი. თავისი მებრძოლებით მტრის თავდაცვა გაარღვია და ამ ბრძოლაში პირადად მოსპო 18 ჰიტლერელი, 1943 წლის ივლისში, როდესაც ჰიტლერელებმა სცადეს ფრიოლთან და ბელგოროდთან ჩვენი თავდაცვის გარღვევა, ამხ. ტერელაძემ მეორედ ისახელა თავი. ამხ. ტერელაძე მთავარ უბანზე მოქმედებდა. მან მოიგერია მტრის სასტიკი იერიში, შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე, შეიჭრა მტრის განლაგებაში და მუსრი გაავლო მას.

ამის შემდეგ მრავალ გამძაფრებულ ბრძოლაში გამოიჩინა თავი ახალგაზრდა ოფიცერმა ა. ტერელაძემ. უნარიან ხელმძღვანელობასთან ერთად იგი თავის მებრძოლებს ყოველთვის უჩვენებდა პირადი მამაცობისა და გამბედაობის მაგალითებს. საფრონტო გაზეთი „ვო სლავუ როდინი“ 1943 წლის 9 სექტემბერს სწერდა ამხ. ტერელაძის შესახებ:

„ერთ უბანზე წინასწარ გამზადებულ ზღუდეზე გამაგრებული გერმანელები ძლიერ აფერხებდნენ ჩვენი ქვეითების წინსვლას. აკაკი ტერელაძემ წაიყვანა რვა მებრძოლი და, ისარგებლა რა სიბნელით, შუბლში დაარტყა მტრის დაჯგუფებას. მისი მიზტომა ისეთი მოულოდნელი და ფიცხელი იყო, რომ ორმოცმა ჰიტლერელმა ვერ გაასწრო და იქვე იქნა მოსპობილი.

ამ შეტაკებაში მამაცი ოფიცერი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლიდან არ გავიდა. დილით გერმანელებმა ასეული გამოუშვეს დაკარგული ზღუდის დასაბრუნებლად. ტერელაძემ ისინი 150 მეტრზე მოუშვა და გამანადგურებელი სროლა აუტეხა ტყვიამფრქვეველებითა და ავტომატებით. სამოცი ჰიტლერელი მოსპობილ იქნა. აკაკის მებრძოლებმა ხელთ იგდეს დაცლა: 30 შაშხანა, 3 დაზგის და 6 ხელის ტყვიამფრქვევი“.

სხვა ბრძოლაში, როდესაც ტერელაძე თხრილში იჯდა და ბრძოლას ხელმძღვანელობდა, მას უეცრად გარს შემოერტყა ექვსი ჰიტლერელი და შეეცადა მის ხელში ჩაგდებას. ტერელაძე არ დაიბნა, გრანატი სტყორცნა და ავტომატის ჯერი დააყოლა. სამი გერმანელი იქვე დაეცა, დანარჩენები გაიქცნენ. ტერელაძე თხრილიდან ამოხტა, თავის მებრძოლებს გაუძღვა, პირველი შეიჭრა სამაღლეზე და მტერს დამტერს ტოვებინა იგი.

ამხ. ტერელაძე მამაცობისა და გულადობისათვის დაჯილდოებული იყო წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოლო ბოლო დროს წარდგენილი იყო სამამულო ომის ორდენზე.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, წითელი არმიის ახალგაზრდა ოფიცრის გმირული ბრძოლა და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

## ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით

**მოქმედი არმია,** 16 იანვარი (საკადრესო სპეც. კორ.). ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა ფრონტზე 15 კილომეტრი სიგანით და 8 კილომეტრამდე სიღრმით და 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ღამის წყვდიადის საფარველით საბჭოთა ქვეითაყოფებმა უეცრად მიიტანეს იერიში მტრის სმპაერეებზე ნასვის სადგურის რაიონში. განთიადისას გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი გარღვეულ იქნა და ჩვენი მოძრავი რაზმები წინ გაექანენ. საბჭოთა მებრძოლები უტიხი თოვლით, ქობებით მიდიოდნენ, მიაღწიეს ნოვოსოკოლნიკი—დნოს რკინიგზას და, შემოუარეს რა ჩრდილოეთით ნასვის სადგურს, იერიში მიიტანეს სოფელ მანოკოვოზე, რომელიც მტრის წინააღმდეგობის დიდ კვანძს წარმოადგენდა. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ მანოკოვო დაეცა. ჩვენმა ნაწილებმა იერიშის წარმატება განაგრძობეს, ნასვის სადგურისაკენ გაიჭრნენ, შუადღისას დაიკავეს იგი და ამნაირად გადასჭრეს ნოვოსოკოლნიკი—დნოს რკინიგზა.

მტერი გონს მოვიდა პირველი დარტყმის შემდეგ და შეეცადა აღედგინა მდგომარეობა მაგრამ ამაოდ. მძიმე ბრძოლა გაჩაღდა ერთ სოფელთან ჯერმანელებმა რამდენჯერმე მოიტანეს კონტრიერიში და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ გაედევნათ ჩვენი მებრძოლები ამ მნიშვნელოვანი პუნქტიდან. სოფელს უტიენდნენ მტრის ქვეითი ჯარი, ტანკები და თვითმავალი ზარბაზნები. წითელარმიელები ახლო მანძილზე უშვებდნენ გერმანელებს და სასტიკი სროლით უკუაქცევდნენ მათ. მტრის კონტრიერიშები ჩაიფუშა.

სწრაფად მიიწევენ წინ ჩვენი მოწინავე დამკვრელი ჯგუფები. ისინი გაბედულად იჭრებიან მტრის სამრეთ წყობილებებში, უჭრიან მათ უკანასკნელ გზებს და დეზორგანიზაცია შეაქვთ მის ზურგში. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოსდით. ჩვენი ქვეგანყოფების საფლანგო დარტყმის შედეგად ტბის რაიონში გერმანელებმა დატოვეს დიდანი გვამი, აგრეთვე 13 ტანკი, 9 ქვეშეხი, 10 ტრაქტორი და ბევრი სხვა საჭურველი.

ჩვენი ნაწილების დარტყმით უკანდახევისას გერმანელები ცდილობენ ყველაფერი ჭოსპონ თავიანთ სასლიანან გზაზე. ისინი სწვავენ სოფლებს, მოსახლეობას ზურგში მიერეკებიან, და მზეცურად უსწორებენ ანგარიშს საბჭოთა ადამიანებს. განთავისუფლებულ სოფელ ზაიკანიეში 6 ნაწილის გვარდიელებმა ჰიტლერელების მიერ ტყვე წითელარმიელებისადმი არაადამიანური ანგარიშის გასწორების საშინელი სურათი ნახეს. სოფლის ჩრდილოდასავლეთ განაპირას 7 გარუჯული გვამი იყო. ჯალათებს სურდათ ცეცხლით მოესპოთ თავიანთი დანაშაულობის კვალი, მაგრამ სოფლის მცხოვრებლებმა, რომლებიც მოწმენი იყვნენ ყველა წამებისა, მებრძოლებს უამბეს, თუ როგორ უჭვრეტდნენ ჰიტლერელები ტყვეებს ხელფეხს, თუ როგორ გაუტეხეს მათ თავი ორ წითელარმიელს.

ამავე სოფელში გლეხებმა მებრძოლებს უჩვენეს უზარმაზარი თხრილი, რომელშიც დამარხული იყო ჰიტლერელების მიერ მშვიდობიან მცხოვრებთა ათობით ნაშაბები გვამი. ვიდრე ამ საშინელ საფლავს მიწით ამოავსებდნენ, ფაშისტებმა გვამებს ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

სოფლები და დაბები, მტრის უკანდახევის მთელი გზა განათებულია ხანძართა ცეცხლით. ოკუპანტების მიერ მოსპობილი რუსული სოფლების ნანგრევები შურისგებისაკენ მოუწოდებენ და ამიტომ არის შეიჭრებელი ჩვენი მეომრების ნისწრაფება წინ—დასავლეთისაკენ, ამიტომ არ აქვთ მათ შიში, არ გრძნობენ დაღლილობას და საბჭოთა მიწა-წყლიდან ერეკებიან მტერს.

**ი. გრიგოვი**

## ვანდა ვასილევსკაიას „ცისარტყელა“ ეკრანზე

მახლობელ „დიდებში ჩვენი ქვეყანა ნახავს ახალ ქმხატვრულ ფილმ „ცისარტყელას“, ვანდა ვასილევსკაიას იმავე სახელწოდების მოთხრობისა და სცენარის მიხედვით. დადგმა ავტორისა სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მარკ დონსკოი.

ფილმი „ცისარტყელა“ არის დიდი და ამაღელვებელი კინო-მოთხრობა იმ საბჭოთა ადამიანების მძიმე ტანჯვის შესახებ, რომლებიც დროებით მოექცნენ გერმანელ დამპყრობთა ეღელქვეშ. როგორც მ. ვასილევსკაიას მოთხრობაშიც, ფილმში ნაჩვენებია უტეხი ნებისყოფის, უმაღლესი მამაცობის, კეთილშობილებისა და სიმტკიცის მქონე ადამიანთა სახეები. კინო-მაყურებლის წინაშე გაივლის მოთხრობის ყველა პერსონაჟი.

ფილმი დასდგა კიევის კინო-სტუდიამ აშხაბადში და სემიპალატინსკის მახლობლად. ოლიონა კოსტიუკის ცენტრალური როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ქალი ნ. უჟვიი. (საკადრესო).

## კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კურსების პირველი გამოშვება

25 ათასზე მეტმა კოლმეურნეობათა თავმჯდომარემ დაამთავრა მათთვის ყველა ოლქსა და რესპუბლიკაში მოწყობილი კურსები. კურსანტთა დიდი უმეტესობა კოლმეურნეებია, რომლებიც პირველად ირჩიან არჩეულნი ხელმძღვანელ სამეურნეოზე.

## საქართველოს გეოლოგები მთავარნეუღის ზეკრავაზე

საქართველოა გეოლოგიური სამმართველოს 18-მა ექსპედიციამ გეოლოგიურმა მზეკრავმა პარტიამ შარშან დაამთავრა დიდი მუშაობა იშვიათი ლითონების, ფერადი ცეცხლგამძლე თიხის, ქვარცის ქვიშის, კოლინის დასაზვერავად. მარტო უკანასკნელი ხნის განმავლობაში გეოლოგებმა საქართველოს მრეწველობას გადაეცა მთამადნეულთა 8 ახალი საბადო. მათ შორის—საქანდაკო ქვის დიდი საბადოები ქუთაისის რაიონში, ბარიტის, ფოსფორიტის, ცეცხლგამძლე თიხის, ქვარცის ქვიშის, კოლინის მთელი რიგი საბადოები.

საქართველოს ერთ-ერთ რაიონში აღმოჩენილ იქნა ვერცხლისწყლის ახალი საბადოები, რომელნიც ლითონის ვერცხლისწყლის მნიშვნელოვანი შემცველობით განირჩევიან. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებში აღმოჩენილ იქნა ქვანახშირის ჩაწოლის ახალი ფართობები. ქვანახშირის მთელი რიგი ახალი საბადოები აღმოჩენილ იქნა აგრეთვე საჩხერის, ზუგდიდისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. (საკადრესო).

# დღეფეფეზი

## ჩერჩილისა და დე გოლის შეხვედრა მარაკეშში

**ლონდონი,** 16 იანვარი (საკადრესო). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შტაბთან მყოფი თავისი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ „ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი ოთხშაბათს, 12 იანვარს, გენერალ დე გოლს შეხვდა ქალაქ მარაკეშში (საფრანგეთის მაროკო). მარაკეშში ყოფნისას პრემიერ-მინისტრი საბოლოოდ გამოჯანსაღდა თავისი ამასწინანდელი ავადმყოფობის შემდეგ. ჩერჩილს თან ახლდნენ მისი მეუღლე, ლორდი ბივერბრუკი და დაფ კუპერი მეუღლიანად. გენერალ დე გოლს თან ახლდა პარადი კანცელარიის უფროსი პალეფსკი.

ჩერჩილისა და დე გოლის შეხვედრა პირველია 1943 წლის ივნისის შემდეგ, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში“ დე გოლის მისვლის ცოტა ხნის შემდეგ. 12 იანვრის შეხვედრის შემდეგ დე-გოლი დაესწრო საუზმეს ჩერჩილთან იმ პირებთან ერთად, რომლებიც ჩერჩილს მარაკეშში ახლდნენ. განხილული იყო საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობის პრინციპული საკითხები, აგრეთვე თანამშრომლობის სხვადასხვა ეხარეები“ საერთო გამარჯვების მისაღწევად.

მეორე დღეს ჩერჩილი დე გოლის მიწვევით დაესწრო პარადს მარაკეშში.

13 იანვარს დე გოლი ალჟირს წავიდა ორი დღით, რათა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტისათვის ეცნობებინა ჩერჩილთან მოლაპარაკების შედეგები. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრსა და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მეთაურს შესაძლებლობა ჰქონდათ განეხილათ დღის წესრიგში მდგარი მრავალი საკითხი, რომლებიც შეეხება ფრანგების თანამშრომლობას გაერთიანებულ ერებთან. სხვა საკითხთა შორის განხილული იყო საკითხები კონტინენტზე შეჭრის ოპერაციებისადმი ხელმძღვანელობისა და ამ ოპერაციებში ფრანგთა ჯარების მონაწილეობის შესახებ, საფრანგეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ მოკავშირეთა შეჭრის შემდეგ და საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის ყოფილ გენერალ-გუბერნატორ ბუასონის, საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ფლანდენის და ალჟირის ყოფილი ელჩისა და გენერალ-გუბერნატორ პეირუტონის მოღალატეობაში ბრალდების გამო მომავალი პროცესების შესახებ ალჟირში. როგორც ცნობილია, ინგლისისა და ამერიკის მთავრობები არაოფიციალურად შეეკითხნენ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს ამ პროცესების გამო“.

## სოფიის დაბომბვის შედეგები

**სტამბული,** 14 იანვარი (საკადრესო). მიღებულია დაგვიანებით). ბულგარეთიდან მიღებული ცნობებით, სოფიის დაბომბვის შედეგად, დაზგრეულია ქალაქის ცენტრი და ცენტრის მომიჯნავე უბნები. ბევრია მსხვერპლი. სახელმწიფოს მართვა სავსებით პარალიზებულია. კავშირგაბმულობა თითქმის სრულებით აღარ არის. ქალაქი დარჩა უტრანსპორტოდ, უწყლოდ, უსინათლოდ და უსურსათოდ.

დაზგრეული ან ძლიერ დაზიანებულია ყველა სამინისტროს, სასახლის, უცხოეთის მისიათა შენობები, პარლამენტი, ფოსტა და ტელეგრაფი, სამხედრო ნაწილთა ყაზარმები, ვერმანელთა შტაბები და სასტუმროები, სადაც გერმანელები იდგნენ. დაბომბვამ ძლიერი პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში და სრული დაბნეულობა ხელისუფალთა შორის ზედიზედ ორ დღე ღამეს სოფიიდან ყოველმხრივ მიედინება ლტოლვილთა განუწყვეტელი ნაკადი, მათ შორის ბევრია სამხედრო პირი თავიანთი ოჯახებიანად. ვაგზლები გაუქმდა გასახიზნად მიმავალი ხალხით.

დაბომბვით დაზარალებული ბულგარელთა და გერმანელთა სამხედრო ნაწილები მიმეგზავრებიან პლოვდივისაკენ. გაიქეთ სამხედრო საწყობები.

დაბომბვის შემდეგ მთავრობა და პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეები ქალაქ გარეთ გაიქცნენ. ერთ დღე-ღამეზე მეტხანს დედა-ქალაქში ფაქტიური უხელისუფლებობა იყო და მხოლოდ მეორე დღის ბოლოს გაიცა მთავრობის პირველი განკარგულებანი ყოველი სახის ტრანსპორტით მოსახლეობის შეუფერხებლად და უფასოდ ევაკუაციის, ქალაქში შესვლის აკრძალვის, ქურდობისათვის სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ.

სამაჯარო თავდაცვა სავსებით მოშლილი აღმოჩნდა. ხანძრის ჩასაქრობად წყალი არ იყო. სახელმწიფო დაწესებულებები და საავჭროები მხოლოდ 15 იანვრიდან დაიწყებენ მუშაობას.

ხალხში დიდი დრტვინვაა და მაგარი ეპიეთეტებით უმასპინძლდებიან ბულგარელ მმართველთ და გერმანელებს.

**სტამბული,** 15 იანვარი (საკადრესო). თურქული გაზეთი „ტანინი“ იმოწმებს ბულგარეთიდან მიღებულ ცნობებს და იუწყება, რომ სოფიაზე ორი მასირებული თავდასხმის შედეგად, რაც ინგლის-ამერიკის ავიაციამ მოახდინა 10 იანვარს, ქალაქში გამოწვეულია უდიდესი ნგრევა. მთელი მისი ცხოვრება პარალიზებულია. ქალაქში არცერთი სახლის ფანჯარა მთელი არ დარჩენილა.

რკინიგზის კავშირი სოფიისა და თურქეთს შორის შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღით. სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი დღემდე არ არსებობს.

## სამეარი მოქმედება იტალიაში

**ლონდონი,** 16 იანვარი (საკადრესო). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ დღეს ფრანგთა და ამერიკელთა ნაწილები, რომლებიც ამერიკის მეხუთე არმიის შემადგენლობაში შედიან, შეუპოვრად განაგრძობდნენ წინსვლას მთებში. სანტელიაში მიმავალ გზაზე დაკავებულია მაღლობები, რომლებიც მიდამოებს დაჰყურებენ. იერიში, ორი მხრიდან მიტანილი ტროიციის მთაზე, რომელიც უკანასკნელ მაღალ პუნქტს წარმოადგენს მოკავშირეთა ჯარების ფრონტსა და მდინარე რაპიდოს ხეობას შორის, წარმატებით მიმდინარეობს. ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე ინგლისელთა და ახალზელანდიელთა ნაწილებმა გამოხდომა მოაწყეს მტრის პოზიციების წინააღმდეგ. წამოყენებულია ტყვეები, მტერს ზარალი მოუვიდა.

გუშინ მოკავშირეთა ავიაციის მძიმე და საშუალო ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის რკინიგზის კომუნიკაციებს.

ბომბდამშენ-ავიაგამანადგურებლები თავს დაესხნენ აგრეთვე მტრის გემებს შიბენიკის ნავსადგურში (იუგოსლავია).

## იუგოსლავიის სახალხო განმეორთავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

**ქენევა,** 16 იანვარი (საკადრესო). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, ცენტრალურ და დასავლეთ ბოსნიაში გაფანტულები ბრძოლები გრძელდება. გერმანელთა კოლონებმა მოახერხეს კონიცისა და სარაევოს მიმართულებით გაჭრა და ქალაქების ბუგოინოსა და გორნი ვაკუფის დაკავება. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დასტოვეს ეს ქალაქები, რათა თავი დაეღწიათ გარშემორტყმისათვის, რასაც მოწინააღმდეგე ამზადებდა.

## გენერალი ეიზენჰაუერი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას ახალ პოსტზე

**ლონდონი,** 16 იანვარი (საკადრესო). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესმა მეთაურმა ეიზენჰაუერი შეუდგა ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა: „გენერალი ეიზენჰაუერი შეუდგა შეერთებულ სამეფოში თავისი იმ მოვალეობის შესრულებას, რაც მას გაერთიანებული შტაბების უფროსებმა დააკისრეს. ხმელთაშუა ზღვის რაიონიდან შეერთებულ სამეფოში მგზავრობის დროს იგი ეთათბირა პრეზიდენტ რუზველტს და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს“.

## ბომბები ესკადრილიდან ინგლისს მისულ გემზე

**ლონდონი,** 16 იანვარი (საკადრესო). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ფორთოხლის ყუთებში, რომლებიც ესპანეთიდან ინგლისს მოიტანეს, აღმოჩენილ იქნა დაყოვნებული მოქმედების ბომბები. სააგენტოს დიპლომატიური მიმოხილველი წერს, რომ ამჟამად სწარმოებს ძიება, რომლის შედეგებზეც დამოკიდებული იქნება ინგლისის მთავრობის ესა თუ ის დიპლომატიური მოქმედება ან წარდგენება.

**ლონდონი,** 15 იანვარი (საკადრესო). გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ მოწინავეში სწერს, რომ „ფორთოხლის ყუთებში დაყოვნებული მოქმედების ბომბების აღმოჩენის შემთხვევა უეჭველად გამოიწვევს ინგლისში აღშფოთებას და მთავრობა აუცილებლად უფრო აშკარად განაცხადებს, რომ იგი უკმაყოფილია გენერალ ფრანკოსი და მისი მთავრობისა. ეს აშკარად მტრის აგენტების — ფაშისტებისა (ესპანელი ფაშისტების) ან გერმანელების აქტია, და უკვე დროა აღძრნონინონ ფრანკოს, რომ ამნაირი „ნეიტრალიტეტი“, ღერძის სახელმწიფოთა მიმართ მეგობრული, უკვე შეუწყნარებელია.

## პროფესორ სეტონ უოტსონის გამოსვლა სამეფო საერთაშორისო საზოგადოების სხდომაზე

**ლონდონი,** 14 იანვარი (საკადრესო). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 12 იანვარს ლონდონში შესდგა სამეფო საერთაშორისო საზოგადოების სხდომა ჩეხოსლოვაკიისა შინაგან საქმეთა მინისტრის დოქტორ სლავიკის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ცენტრალური ევროპის ისტორიის პროფესორმა სეტონ უოტსონმა, რომელიც ლექციებს კითხულობს ლონდონის უნივერსიტეტში. მან განაცხადა:

„დასავლეთისა და სამხრეთის სლავებმა, აგრეთვე გერმანიისა და რუსეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს შუა მცხოვრებმა ალსელემა ხალხებმა არჩევანი უნდა მოახდინონ რუსეთის ან გერმანიის ორიენტაციას შორის. ყველა პატარა სლავ ხალხთა ბედი დამოკიდებულია რუსეთის გმირობებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი ჩაყლაპვა გერმანიის მიერ გამოიწვევდა ამ ულანასკნელის ჰეგემონიას ევროპის კონტინენტზე და, მაშასადამე, ინგლისი რუსეთზე არანაკლებად არის დაინტერესებული მათი განთავისუფლებით“.

როდესაც პოლონეთის შესახებ ლაპარაკობდა, პროფესორმა სეტონ უოტსონმა განაცხადა: „აღმოსავლეთის საზღვრის არც ერთი პოლეტი, რომელიც კი განხილული იყო 1918 და 1941 წლებს შუა, არ ეშაყრებოდა ისტორიულს მით უმეტეს ეთნოგრაფიულ წანამძღვრებს, არამედ ატარებდა უფრო სანიტარული კორდონის ხასიათს, რომელიც შეიქმენებოდა მიმართული ყოფილიყო ერთი შორის პარიის და არა გიგანტის წინააღმდეგ, რომელიც იღვიძებს ახალი ცხოვრებისათვის და მამაცობის სასწაულებს სრავდის საერთო საქმის საკეთილდღეოდ. ამგვარადვე დასავლეთის საზღვრები, რომლებსაც გერმანიის აგრესია თანმიმდევრულად ბვევდა თავს ალსელებს, დღეს უფრო მეტად უნდა იქნას გამოსწორებული, ვიდრე ოდესმე იყო“.

## ამერიკის პროფკავშირთა ლიდერების პრეზიდენტ რუზველტის მიმართვის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 16 იანვარი (საკადრესო). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ განაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი საკუთარი უფლის მხარს რუზველტის მოწოდებას ნაციონალური ერთიანობის დამყარების შესახებ, რასაც შეიცავს მისი მიმართვა კონგრესისადმი, და „პირობას იძლევა სავსებით დაუშიროს მხარი რუზველტის მიერ თეირანისა და კაიროს კონფერენციებზე მიღებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ მივაღწიოთ გაერთიანებულ მოქმედებას, რაც საჭიროა ღერძის სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებზე მალე გამარჯვებისათვის და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებისათვის“. მერეიმ განაცხადა, რომ მტკიცე კონტროლი ფასებზე და მუტისმეტ მოგებათა ჩამორთმევა გადასახადების გზით აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს. ამასთან ერთად მერეიმ განაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი წინააღმდეგია რუზველტის მიერ წამოყენებული კანონისა ნაციონალური ბეგარის შესახებ, ვინაიდან მას „არაეფექტურ ღონისძიებად“ თვლის.

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გრინიც თავის განცხადებაში ნაციონალური ბეგარის შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა.

## საუჩანეთის საკონსულტაციო ასამბლეის სხდომაზე

**რაბათი,** 16 იანვარი (საკადრესო). როგორც რაბათის რადიო გადმოგვცემს, საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეის სხდომაზე განხილულ იქნა ვიშის ყოფილ მომხრეთაგან აღმინისტრაციული აპარატის გაწმენდისაკენ მიმართულ ღონისძიებათა საკითხი.

სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის იუსტიციის კომისარმა დე მანტონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს“ და რომ „საერთო აღარაფერი არ უნდა იყოს ალჟირში აღორძინებულ რესპუბლიკასა და ვიშის რეჟიმს შორის“.

დელეგატმა გრენიეემ და სხვა დელეგატებმა აღნიშნეს მეტად „გულმოწყალე“ პოლიტიკა, რომელიც წმენდის ჩატარების დროს ხორციელდება.

ასამბლეამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია აუჩქარებლობა წმენდის დროს და გამოთქმულია სინანული, რომ გადაიდო იმ გამცემთა დასჯა, რომელნიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ.

## უცხოეთის ქრონიკა

**ა. შ.** შტატებში წყალში ჩაუშვეს „ვიქტორის“ ტიპის პირველი გემი—„იუნაიტედ ვიქტორი“ ნავარაუდევია, რომ 1944 წელს ა. შ. შტატებში ააგონ ასეთი ტიპის 400 გემი. როგორც ფიქრობენ, ახალი ტიპის გემის სიჩქარე 15 კვანძზე ნაკლები არ იქნება. ეს გემები შესძლებენ ინგლისში ჩაიდნენ და უკან გაბრუნდნენ უბადრუკად სამი კვირის განმავლობაში ნაცვლად ცხრა კვირისა, რაც საჭიროა „ლიბერტის“ ტიპის გემების ასეთი რეისისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მარჯვნიდან მარცხნივ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორდენოსანი გ. ჯგუბურია, ბრიგადირი ლ. შონია და სტახანოველი კოლმეურნე ჩ. ქვარიანია ამოწმებენ ლიმონის შეფუთულ ხეს.

ფოტო რ. აკოფოვისა

# მთავრობის მაღალ ჯილდოს ახალი წარმატებებით უპასუხებენ

## შრომის ფრონტის მოწინავენი

**ბათუმი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გასულ წელს წარმატებით ამუშავეს. მარტო ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1943 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 11.871.000 კილოგრამი ჩაის უწვანე ფოთოლი. წლიური გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით. ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფისა და დამზადების გეგმა ვადამდე შესრულდა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა რამდენიმე ასეული ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამზრდის სახელმწიფო გეგმა 100,9 პროცენტით შეასრულეს, ხოლო წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—100 პროცენტით. 1943 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი აჭარაში 2.007 ჰექტარით გადიდდა. სიმინდის მოსავალი ჰექტარზე 13 ცენტნერიდან აყვანილია 18-20 ცენტნერამდე, ხოლო კარტოფილისა—80-დან—110-120 ცენტნერამდე.

განსაკუთრებული წარმატებებით სოფლის მეურნეობის დარგში ხასიათდება ქობულეთის რაიონი. ამ წარმატებებისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. ჭინტყვაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით.

რაიონში ომის განმავლობაში მოსავალი ერთი ორად გადიდდა, ერთი ორად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობი. რაიონმა 1943 წელს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 10 მილიონამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი და 160 მილიონამდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ე. ი. 60 მილიონით მეტი, ვიდრე 1942 წელს. რაიონის კოლმეურნეობებმა 1943 წელს მიიღეს აგრეთვე სიმინდის უხვი მოსავალი, გადაჭარბებით შეასრულეს ნეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა.

რაიონში მოწინავეა სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე ამხ. ჭესეინ ჯგოგავაძე ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული.

სტახანოველთა შორის გამოირჩევა ამხ. ხაჯერ კაკაბაძე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა, მან გასული წლის სეზონში პირადად მოკრიფა და ჩააბარა 10 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, კრეფის ძლიერ ნორმებს იგი მუდამ 400-500 პროცენტით ასრულებს. 7 სექტემბერს დილიდან საღამომდე ხაჯერ კაკაბაძემ 2,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მთავრობის უმაღლესი ჯილდო—სსრ კავშირის ორდენები და მედლები მიიღო მზიური აჭარის სოფლის მეურნეობის 39 მუშაკმა.

აჭარის საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სამშობლოს მაღალ ჯილდოს. ისინი სიტყვას იძლევიან კიდევ მეტი თავდადებით იმუშაონ აჭარის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

**ნ. ჯაიფაძე**

## მაღალ ჯილდოს კონკრეტული ვალდებულებებით უპასუხებენ

**სოხუმი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების დაჯილდოების შესახებ. სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარე ამხ. გიორგი ჯგუბურია დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აკისრა. ოჩამჩირის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ჩაის ფოთლის წარჩინებული მკრეფველი ამხ. უშა ახუბა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ აკისრა ვალდებულება ადრე და მაღალ ხარისხოვნად შეასრულოს ჩაის პლანტაციების ხაზამთრინო სამუშაოები, წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 50 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ალიუბალს“ თავმჯდომარე მიხეილ შონია დაჯილდოებულია „სა